

№ 14

6 აპრილი 1914 წ.

მიიღება ხელის მოწმობა

წლიური ფასი

== 3 მან. ==

ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქცია ღიაა 9-3 საათ.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომ.

ჩიური და სალიბერატურო შუროალი

წელიწადი მისამე

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. საერობო ხარჯთ-ადრინგვა 1915—1917 წ.—ალ ყიფშიძეხი.
2. უკულო ვირი.—რიშ ბაბასი.
3. ლიტანიასუდ.—ეკ. გაბაშვილისა.
4. ქრისტე აღსდგა!—ეკალისა.
5. ზრესა.
6. ნამცერევი.—რიშ ბაბასი.
7. სომხური მეცნიერება.—*—სა.
8. მიწის გარშემო.—დ. ვ.—ისა.
9. არა ამის სოფლისაგანი არს. (მოთხრობა) თარგუ.—ირ. სონღულაშვილისა.

მიიღება ხელის მოწმობა 1914 წ.

ყოველ კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიბერატურო შუროალ

„კლდე“-ზედ.

ფ ა ს ი:	1 წლით.	3 მან.
	6 თვით.	2 მან.
	3 თვით.	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

საერობო ხარჯთ-აღრიცხვა 1915-1917 წ.

ერობა არა გვაქვს, მაგრამ საერობო გადასახადი კი არსებობს. ამ გადასახადს ჰკრეფს ადმინისტრაცია და ჰხარჯავს იმ წესით და რიგით, რა წესსაც და რიგსაც თვითონ ადგენს. ხარჯის გამღებს არაფერსა ჰკითხავდნენ ხოლმე, თუ რომელი საჭიროებას რამდენი მოხმარდეს, ან რომელია პირველ ხარისხოვანი საჭიროება, რომლის დაკმაყოფილება აუცილებელია უწინარეს ყოვლისა.

მეფის მოადგილის საბჭო სამ წელიწადში ერთხელ იკრიფებოდა და ამიერ-კავკასიის გუბერნატორთა თანადასწრებით ადგენდა საერობო შემოსავალ-გასავალს, რომელიც უმაღლესად დამტკიცების შემდეგ, კანონად იქმნებოდა და სისრულეში მოჰყავდათ.

ეს პატრიარქალური, შინაური წეს-რიგი ამჟამად მცირედად შეიცვალა. ახლის კანონის ძალით ხარჯთ აღრიცხვის განხილვაში მონაწილეობას იღებენ საზოგადოების წარმომადგენელი. იმერეთიდან და ქართლ-კახეთიდან საგუბერნიო მარშალები და თითო საერობო ხარჯის გამღებთა წარმომადგენელი. ქალაქ ტფილისის მოურავი, კავკასიის სოფლო-სამეურნეო საზოგადოების და ბაქოელ მენაფეთთა თითო წარმომადგენელი. ამას გარდა, ამიერ-კავკასიის გუბერნიებიდან თითო წარმომადგენელი საერობო ხარჯის გამღებთა.

მომავალ ხარჯთ-აღრიცხვის (1915-1917) განხილვაში, რომელიც მოხდა გასულ მარტის თვეში, საქართველოდან მონაწილეობა მიიღეს: ტფილისისა და ქუთაისის მარშლებმა: თ. კ. ნ. აფხაზმა და თ. დ. ო. ნიქარაძემ; თ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა და თ. პეტრე წულუკიძემ და კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებიდან მისმა ვიცე-პრეზიდენტმა თ. პ. ა. გრუზინსკიმ, სულ ხუთმა ქართველმა.

რა სახით მიიღო მეფის მოადგილის საბჭომ საზოგადოების წარმომადგენელთა თანადასწრებით წინასწარ შედგენილი საერობო ხარჯთ-აღრიცხვა, ჯერ არ ვიცით. განსახილველი კი აი რა ჰქონდა საბჭოს. მომავალ სამის წლისათვის საერობო საჭიროებისათვის მოსალოდნელი ხარჯი ასეა აღნუსხული 1) დახმარება მთავრობის დაწესებულებათ— 269,913 მან.; 2) საერობო თანხის გამგეობა—

264,483 მან.; 3) სატუსაღოების შენახვა— 543,384 მან.; 4) გზები— 5.022,126 მან.; 5) სკოლები— 3.600,759 მან.; 6) სამოწყალო დაწესებულებანი— 287,508 მან.; 7) სამკურნალო ნაწილი— 4.782,858 მან.; 8) ვეტერინარია (პირუტყვთა ექიმობა)— 770,196 მან.; 9) აგრონომია— 2.386,053 მან.; 10) სხვა და სხვა ხარჯი, სხვათაშორის მამულის ახალი შეფასება 1.573,759 მან. და 11) მოულოდნელი ხარჯები— 630,000 მან., სულ 20.130,042 მან., ან წელიწადში 6.710,014 მ.

დღეს მოქმედობს ჩვენში საერობო ხარჯთ-აღრიცხვა 1912-1914 წლისა. ეს ხარჯთ-აღრიცხვა განხილულია სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოსაგან. თვალსაჩინო განსხვავება უკანასკნელის ხარჯთ-აღრიცხვისა წინანდელებისაგან ისაა, რომ ნახევარი ხარჯი საპოლიციო დარაჯების შესახად იკისრა სახელმწიფო ხაზინამ, ხოლო მომავალი ხარჯთ-აღრიცხვა (1915-1917 წ.) იმიტია კიდევ საყურადღებო, რომ მეფის მოადგილის საბჭომ გამოირიცხა საერობო ბიუჯეტიდან დარჩენილი ნახევარიც და სავსებით გაანთავისუფლა ჩვენი უღონო ბიუჯეტი ამ აუტანელ და უსამართლო ტვირთისაგან. უკე თუ სახელმწიფო სათათბირო და საბჭოც შეიწყნარებენ მეფის მოადგილის საბჭოს განზრახვას და ეს განზრახვა კანონად იქცევა, მაშინ დიდი შეღავათი მიეცემა საერობო ბიუჯეტს და დარჩენილი ფული ქვეყნის კეთილ-დღეობას მოხმარდება.

საერობო ბიუჯეტს ჩვენ ხელ-ახლა დავუბრუნდებით, როცა მივიღებთ საბჭოს მიერ მოწონებულ ხარჯთ-აღრიცხვას 1915-1917 წლებისას და მაშინ დაწვრილებით განვიხილავთ თვითოეულ სახარჯო მუხლს და პარაგრაფს. ეს განხილვა გვიჩვენებს, თუ რამდენ შეუწყნარებელ ხარჯს ეწევა საერობო კასა და რა დიდია ის საჭიროებანი, რომლის დაკმაყოფილებლად ფული აღარა გვყოფნის.

ალ. ყიფშიძე

უკუღო ვირი

(ა რ ა კ ა)

ვილასიკ უკუღო ვირი, მეტად დატვირთული და ქანც-გაწყვეტილი, ტალახში ჩავარდნილიყო. ამოსაყვანად მრავალი მოყვარე მისდგომოდა. —

ზოგი გინებით წიხლსა და სახრეს სცემდა: უპატიობის სუსხი თავმოყვარეობას გაუღვიძებს და წამოახტუნებსო.

ზოგი ავშარას უწევდა და უწრუწუნებდა: წინსვლის წაქეზებად მიიჩნევს და გულს გაიმხნეებსო.

ზოგი გულის გასაგმირად თავს დასტიროდა: „აღსდევ, გმირო, შენი წარსული სიყრმე მოიგონე, ვარსკვლავებს რომ ეთამაშებოდიო! —

ზოგი კრეჭია განზე გამდგარი სეირს უყურებდა: მოდი შენ და უკუღო ვირი ტალახიდან ამოიყვანეო.

ზოგმა სთქვა: „სანამ კუქს არ გაიძღობს, ეგ ვერ აღგებოა“ — და წინ ერთი მუქა ბზე ტალახში ჩაუყარა.

ზოგი ამბობდა: „აცა, კუდი ხელახლა გამოგბმის და მაშინ ამოვათრევთო“. — და გულ-ხელდაკრეფილი იღგა.

ზოგმა სთქვა: „ეგრეც არა უშავს რაო. ტალახი რომ გაშრება, თითონ აღგებოა.“ — და წავიდა.

ერთმაც დაიძახა: „ვეეო, ე ტვირთი მოხსენით მაინცაო“...

მაგრამ სხვებმა სასაცილოდ აიგდეს: „მაშ მოდი ბარემ ეს ტვირთი შენ მიუტანე პატრონსაო“.

ამათში ვინ იყო მართალი, ვინ მტყუანი, — რა მოგახსენო? — მხოლოდ ის ვირი ახლაც გღია ტალახში, ისევ დატვირთული.

*

ჰოი, მამულო საყვარელო, ამ არაკის ხსენებაზედ ნეტა შენ რად მაგონდები?

რიშ ბაბა.

ღიტანიაზედ

პირველი გიმნაზიის კარის ეკლესია ბრწყინვალედ არის გაჩაღებული.

საღღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმულ მლოცავ-

თა უმაღლესის კმაყოფილებით აღსავსე პირის სახეებს სააღდგომოდ ალაპლაპებული კელაპტრები ნეტარებასა ჰფენს.

აუარებელი ხალხით სავსეა თვით ეკლესია და მის გვერდით მდებარე ორი დიდი დარბაზიკი გატენილია.

მოწაფეთა ანგელოზებრივი ღულუნნი ჰარმონიით აღსავსე სააღდგომო საგალობელისა: „განათლდი, განათლდი, ახლო იერუსალიმო, დღეს დიდება უფლისა გადმობრწყინდა შენზედ“, დიდებულად გაისმის ყოველ კუთხეში და სასოებასთან ერთად, რაღაც სიბოზს და ლმობიერებას იწვევს მსმენელთა შორის: ახარებს მათ გულს და აშუქოსნებს მათ სულის კიდეს...

ტასიკოც, ნაზი ტასიკოც ძლიერა მშვენის თავის სპეტაკ საპატარძლო თეთრ კაბაში და სააღდგომო კელაპტარი ამის სახესაც აცისკროვანებს. ის ეკლესიის ერთ კუთხეში სდგას და გატაცებით სთვრება საერთო სარწმუნოებრივ აღფრთოვანებით, რაღაც საზღაპრო ატმოსფეროში დანაყადრობს, იმისი სული და გული ტბილად სცემს და იკმუშნება.

— ტასიკო, შენა? უცებ მოესმა ყმაწვილ ქალს აღელვებული მთრთოლვარე ქმენა, რომელმაც მთლად შეარყია საიდუმლოებით მოცული რელიგიური იმის ლტოლვილება და აღმაფრენა.

— შალვა!!! აკანკალეზულის ხმითვე უპასუხა ტასომ ქაბუკს, რომელიც ამის შეუშინველად გვერდს ამოუღდა.

— რა რიგა მშვენი! რა ზეციური ნათელი ადგას შენ პირი სახეს! ბედნიერი ხარ?!

— სად იყავი?.. სად მიეფარე!.. ეხლა სად მიხვალ? რად მირყევ კვალად სულის მშვიდობას!

— ტესიკო ტბილო, ჩემო ტასია! ჩემო ხატეზავ და სასოებავ! როგორ მიხარის რომ კიდევ გხედავ, შენს ახლოსა ვარ! მართლა, სად ვიყავ... როგორ ვცოცხლობდი, ესულდგმულობდი შენს მოშორებით, შენ უხილველად... ოდნავის ჩურჩულით, თითქო თავისთვის, შალვა წარმოსთქვამდა ამ გრძნეულ სიტყვებს და თან სცდილობდა ახლო მიეწია ძვირფას არსებასთან. — სად ვიყავ? სად ვიყავი მე ბედკრული, თვალი რად მოგაშორე?!..

— გაჩუმდი, ნუ მტანჯავ! რად მოხვედი! რად მოხვედი! კვლავ საშინელის მწუხარებით ამოიოხრა ტასომ და ორივე ხელით კელაპტარი მაგრა მოხმუქა და ვადაგრინა... რად მოხვედი, რადა? რა გინდა ჩემგან! რად მიქრობ შენის სუნთქვით მოლაპლა-

პე კელაპტარს ჩემის აწმყოსას? რად მახედებ უკან, დამარხულისაკენ?!...

— ვხედავ, რომ ვარლვევ შენს სულის სიმშვიდეს, ჩემო ტასიკო და თან ვლაღადებ ალტაცებით რომ კიდევ გხედავ, ჩემო ოცნებავ .. სამოთხესა ვგრძნობ, ჩემო ციალო!... გული მშეუფობს და არ ნებდება ჩემ დამხნილ ქუას... წამით მაინც ნუ წამართმევ ჩემს სასოებას. ნუ განრისხდები... შემიბრალებ...

— ოპ, შალვა, შალვა! რა რიგ მაშფოთებ, რა რიგ სასტიკად ანგრევ ჩემის დიდის შრომით აშენებულს სამოთხის კედლებს... წადი! წადი გვეუდრები... პატივი ეცი ჩემ მყუდროებას, ჩემ წმინდა კერას, მშობლიურ გრძობას... შეილს ვათაყვანებ, მე იმას ვწირავ ყველას, ყველაფერს!...

— წავალ! უნდა წავიდე! ხელს არ შეგვახებ შენს წმინდათა წმინდას, რაც უნდა ძვირად დამიჯდეს ეს განშორება, კვლავ გაგშორდები! მხოლოდ ვილოცოთ, ერთის წამით ზეგარდმოვიქცეთ და სულიერად, ზეცას მივიქცეთ... ხელი მიბოძე და აქ ამ ტრაპეზის წინ, ხალხის დასწრებით უკანასკნელად ვილიტანიოთ...

— აჰა, მარჯვენა ჩემი მთოლვარე! კანკალით უთხრა ქალმა დაკარგულ ძვირფას მეგობარს და დაიჩოქა. შალვაც დაეცა ქვაფენილზედა და ორნი ერთად, სანთლებით ხელში, ზეცას ავიდნენ და იქ ისმენდნენ სამოთხის რეკვას, რეავას უწმინდესს და უძლიერესს, მხოლოდ რჩეულთათვის გასაგონებელს უმაღლეს ჰარმოიას:

„განათლდი, განათლდი, დღეს დიდება უფლისა გადამობრწყინდა შენზედა!

ეკ. გაბაშვილისა.

ქრისტე აღსდგა!

ლ ე გ ე ნ დ ა

ეს ამბავი მოხდა დიდ შაბათს, აღდგომის ღამეს.

შორეულ წარსულში იმერთის საზღვრების ახლო, ქართლის მხარეს ერთი მაღალი ციხე სიმაგრე იდგა. საღ კლდეებს მიკრული, თვითონაც კლდესავით გამოიყურებოდა და მრავალ სათოფე ხურულებით მკაცრად გაჰყურებდა და დარაჯობდა არე-მარეს.

ამ ციხეს, მტრის შემოსევის დროს, თავს აფარებდა გარშემო მცხოვრები სოფლის ხალხი და იგერებდა მტერსა.

იმ დროს, რომელზედაც მოგიტხრობთ, ამ ციხეში სამოციოდე დარაჯი იდგა. დიდ-შაბათის გამო ციხის დამცველნი დიდ ფაცა-ფუტში და მზადებაში იყვნენ. აღდგომის ლიტანიისათვის ემზადებოდნენ. ზოგი სწმენდა და ჰგვიდა ციხის პატარა ეზოს, ზოგი აგროვებდა სააღდგომო სურსათს და აწყობდა ვეებერთელა რკინის ზედადგარებს საქმელის მოსამზადებლად. ზოგი ამშვენებდა ციხის პაწია ეკლესიას და ამკობდა მის კედელ-სვეტებს ახლად ამწვანებულ ფოთლებით. ციხის მცხოვრებნი მოელოდნენ მწირველს — მახლობელ სოფლის მღვდელს მირიანს.

— კაცო! უთხრა ერთმა მნათემ მეორეს — ეს ჩვენი მამა მირიანი რას იგვიანებს. ამ ბინდი-ბუნდისას სადმე კლდეზედ არ გადაიჩეხოს... გვიტხრა — თქვენ კაი ღვინო, ბატკანი და ღორის ფეშხო დაამზადეთო — მე კი, სანამ შებინდდება, უსათუოდ ამოვალო.

ნუ სწუხარ, ძმაო — უბასუხა მეორემ — მირიანი სიტყვის კაცია... სთქვა და აასრულებს. აგე, ლიხა ზედ ის მკრთალი სინათლე რომ ჩაჰქრება, კიდევ ამოჰყობს ციხეში თავსა.

მაგრამ დაღამდა და მღვდელი მირიანი არსადა სჩანდა. დარაჯნი მაინც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მირიანი უსათუოდ ამოვა, ეკლესიის გარშემო დაანთეს ქრაქები, მოიხსნეს იარაღი და მოემზადნენ წირვისათვის. მაგრამ მიდიოდა დრო და მირიანი კი მაინც არ მოსჩანდა.

ლევანა! უთხრა ციხის მცველთა უფროსმა ერთს დარაჯს ხევსურს, — აბა გადადი ციხის ბილიკს და ყური დაუგდე, ცხენის ხმაურობა ხომ არა ისმისრა? დარაჯი მაშინვე ეცა ციხის გასავალს და სიბნელეში გაჰქრა ცოტა ხნის შემდეგ სირბილით შემოვარდა და ხევსურულად შეჰყვირა ამხანაგებს:

— ხალხო, შიში!

რა ამბავია, რა მოხდა? მისცივიდნენ კითხვით დარაჯები... ქვევით ხალხის ხმაურობა და ელივილი ისმის... თათართა ღმუილს ეგვანების... — მაგრამ ლევანამ სიტყვის დამთავრება ევრ მოასწრო...

უეცრად ციხის შემოსავალში საშინელი რახრუხი შემოისმა. დარაჯები სწრაფად მისცივიდნენ ციხის კარებს. კარების იქიდან ისმოდა ჰმა მღვდელ მირიანისა... კარები გაშიღეთ! კარები, მირიანი ვარ. ხევსურმა რკინის ჯრღულები მოხსნა და კარები გააღო, შემოსავალში მღვდელი მირიანი გამოჩნდა.

— ხალხო! იარაღი შეისხით, მტერი მოგვადგა კარზედა... სოფელნი ველარ მოასწრობენ ამოსვლას და თავის შეფარებას. ლიტანიამდის ურჯულოთა ხალხი აქ გვეწვევა — აჩქარებით მოსთქვამდა მირიანი, — მაგრამ იქნებ მოვასწოროთ... და, ჯერ ღმერთი ვადილოთ და მერე ერი.

გამარჯობა ზაქრო? მიეგება მღვდელი მცვლების უფროსს. ხედავ, რომ ღმერთის და ერის სამსახური ადვილი არ არის. აბა მოამზადე შენი ვაჟკაცები მტრის დასახვედრად.

— მამაო მირიანი! შენისთანა ვაჟკაცს ქვეყანა ნატრულობს. ღმერთიც და ერიც დღეს შენ ხელშია. გვიუფროსე გაგიძიებ! უპასუხა ზაქრომ.

— გმადლობ პატივისათვის, ჩემო ზაქარა. მამო თუ ასეა აბა დროს ნუ ვკარგავთ! მღვდელი სწრაფად შეიმოსა, გაანათა ეკლესია და შეუდგა წირვას.

— ქრისტე აღსდგა! გაისმა მირიანის ღრმა რწმუნის ხმა.

— ჭეშმარიტად! სიხარულით მიეგება ერთხმად ქარ-ცეცხლში გამოქვილილი სამოცმა ქართველ მემარმა.

ქრისტე აღსდგა მკვდრებით,

სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი...

გაისმა მომხიბლავი ხმა მომღერალ ზაქარიასი და ციხის პატარა კარმიდამო გაივსო რწმენითა და სასოებით სავეს გალობით.

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად! მოსთქვამდა მირიანი და თან ცრემლს იწმენდა.

აბა ხალხო! იარაღი მომიტათ, დავლოცო.

შუბი, თოფი, ფარ-ხმალ-ხანჯალი დარაჯებმა მოაყარეს მღვდელ-მოძღვარს დასალოცად.

ღმერთო დიადო და ქართლის მხსნელო

შენ ნუ ჩააქრობ ლომისა სულსა

ქართველის გულში.

შენ ნუ მოაკლებ მოწყალებას სამშობლო ერსა;

შენი მოძღვრების დარაჯთა-მცველსა

შენ დაულოცე მისი მარჯვენა.

ასე ლოკულობდა ქართველი მღვდელი მირიანი. ამ დროს ციხის კარებთან მოისმა ვილაცის ხმაურობა. მირიანმა აფრინა ორი დარაჯი ციხის კოშკზედ, გასაგებად.

თათრებმა კაცი გამოგზავნეს — უთხრეს მირიანს დაბრუნებულმა დარაჯებმა — ჩვენი ფაშა ბრძანებსო, იარაღი დაყარეთ, ციხე მიატოვეთ და თქვენი უფროსი მიახლეთო; მაშინ დანარჩენებს სიკოცხლეს შეარჩენთო.

— გადაეცი ფაშას, რომ ჩვენ ციხესაც მივა-

ტოვებთ, ყველანი ვეახლებით და იარაღი კი თვითონ დაგვაცურვინოს! —

ჩვენი იარაღი — ქრისტეს ჯვარია და ქართული ხმალი... აბა, ზაქარა, აცნობე ურჯულოთა მიკრიკს — სთქვა მირიანმა.

ჩუმად და მშვიდად ემზადებოდა ქართველი რაზმი სასიკვდილოდ. ემუხრებოდა საშველად სოფლებისაკენ...

გამოეწყვენ იარაღში, დასტოვეს ციხის სადარაჯოდ ათი ამხანაგი, მიკეტეს ციხის კარები, მიუგორეს მას ვეებერთელა ქვა-გორა, უკანასკნელად გადიწერეს პირჯვარი და ფეხაკრფით, მამა მირიანის წინამძღოლობით გავიდნენ ციხის გარედ. ახლო მოსჩანდა გაჩირალდებული მტრის ბანაკი ქართველი რაზმი დარწმუნებული იყო, რომ მტერი ბანაკში იმყოფება და ჰფიქრობდა თათრებზედ უეცრად იერიშის მიტანას.

მაგრამ უცბად, მთვარის შუქზედ, როგორც მიწიდან ამომძვრალი, გაჩნდა თათართა ვეებერთელა ბრბო და გადაელობა ქართველებს.

შესდექით, წყევლილნო გურჯნო! შესძახა ბრბოს უფროსმა.

— ჩვენ მოვდივართ, თქვენ შედექით! დასძახა უშველებელი ხმით მირიანმა და ერთს ხელში ჯვრით, მეორეში ხლმით თავის ჰაწია რამხით დაეჯახა მტერსა.

გაიპართა საშინელი ხელჩართული, ჩუმი სამკვდრო-სასიკოცხლო ბრძოლა.

ქართველები ვეფხვებსავით იბრძოდნენ...

ხევსურმა ლევანამ თხუთმეტი მოჰკლა თათარი და მიადგა ფაშას.

უშველებელ ტანისა — ლომი მირიანი, ღრიალით მუსრავდა და ზედი-ზედ აწვენდა თათართა გვამებს. ან სიკვდილი ან გამარჯვება! გაიძახოდა მამაცი წინამძღოლი ქართველ რაზმისა და ამხნევებდა თავის გირ ამხანაგებსა.

მტერმა დასძლია ქართველთა პატარა რაზმი.

სამი მებრძოლი ღა დარჩა:

ხევსური ლევანა, ზაქარა და მღვდელი მირიანი...

„ქრისტე აღსდგა მკვდრებით“...

შემოსძახა მამა მირიანმა.

„სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“...

მისცეს ხმა ზაქარიამ და ლევანამ, და დაეცნენ მტრის ხანჯალ-ხლმით დაკუწულნი.

იდგა მარტო მღვდელი მირიანი. ქრისტეს ჯვრით და ქართული ხმლითა.

ამაყი, ძლიერი, საშინელი!

მტრის შუბი მოხვედა გვერდში, დაიზნიქა, მოკაკვა... წაიქცა.

მივარდნენ გაშმაგებული მტრები ჩასაქოლად.

მაგრამ მირიანმა, უკანასკნელად ძალ-ღონე მოიკრიბა, წამოდგა ფეხზედ. ხმლის მოქნევით მოფანტა თათრობა და მალალ ხმით შეჭყვირა..

— არა! ჯერ ქართლის სიკვდილი ნადრევი! ქართველნო ქრისტიანენო! ვინა ხართ ახლო? ხმა გამეტოთ, გამამხნევეთ! ქრისტე აღსდგა!...

— ქეშმარიტად! — გაისმა შორიდან მრავალ ხმიანი პასუხი.

ეს, საშველად მოეშურებოდა იმერეთის საზღვრიდან გადმოსული იმერთა რაზმი.

— მაშ ეხლა აღარ მეშინის სიკვდილისა! — წარმოსთქვა გმირმა მღვდელმა.

დიდება უფალსა ღმერთსა, დიდება ქართველს ერსა!

ჩაიკრა გულში ქრისტეს ჯვარი და პირქვე უსულო დაეცა თავის მოძმეთა გვამებზედ.

ეკალი.

შ რ ე ს ა

გაზ. „იმერეთი“ ორი აპრილის ნომერში კიდევ ეხება ტირიფონას ველის ბედს, სადაც მთავრობას განზრახული აქვს პოლიგონი გამართოს. ამ მიზნით უნდა აიყაროს ოცი ათასამდე მცხოვრები და ხელი აიღოს თუთხმეტი ათას დესეტინა ადგილზე. ერთ დროს ეს ხმები თითქოს მიყუჩდა და იმასაც კი ამბობდნენ, რომ მთავრობამ ხელი აიღო ტირიფონაზე და ახლა ელისავეტოპოლის გუბერნიაში უნდათ პოლიგონი გამართონო, მაგრამ როგორც აღმოჩნდა ეს ტყუილი გამოდგა, და მთავრობა ისევ შეუღდა პოლიგონის ტირიფონის ველზე გამართვას. „იმერეთი“ აღნიშნავს იმ თათბირს ქ. გორში, სადაც თითქმის უფასოდაც კი შესაძლებლად მიუჩნევიან ზოგიერთს მიწის გადაცემა, რადგანაც რაც უნდა ვეცადოთ პოლიგონი ხომ მაინც იქნებაო.

...ჩვენ გვინდა უურადლება მივაქციოთ იმ გარემოებას, სწერს გაზეთი, რომ ვიდრე გორის მოქალაქეთ უოგედივე საშუალება არ უცდიათ, უსაფუქვლოა მათი მტკიცება, საზარდლოა თუ სასარგებლო — ზოლიგონის მოწეობას, ჩვენ არავინ

გვკითხავსო. ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია, რომ სამხედრო უწყებამ მართლ თავის ინტერესებს გაუწიოს ანგარიში და უურადლება არ მიაქციო მთელი რაიონის ეკონომიურ მდგომარეობას... ამიტომ აუცილებელია, ვიდრე სოფლები და ქალაქი გორი მიწებს ფასზე მოაწოდნენ ხელს, დრო გამოითხოვონ თავის დასაბუთებელი მოსახრების წარსადგენად, სადაც ვერა-რს.

ამავე საკითხს, სხვათაშორის, ეხება თავის წერილში ორი აპრილის „სახ. გაზეთში“ არ. ჯ — შვილიც და სწერს:

...„მოიგონეთ რანაირ კილოზე დაზარაობენ, მზავლითად, გორის ვაჭრები. გორის სამოქალაქო თვითმართველობაში ადრეულია საკითხი უფასოდ დაეთმოს თუ ფასით ქალაქის მიწა სამხედრო უწყებს „ზოლიგონისათვის“. მოიგონეთ რანაირად დაზარაობენ ხმლისა — ვაჭრები. სასწორის ერთ მხარესა სდევს ტირიფონის ველი და მეორე მხარეს მწვანელი და კვერცხები, ანუ გორის ვაჭრების ინტერესები. მათ ხელში სასწორმა, რასაკვირველია, იქით გადაჭხარა, სადაც მწვანელი და კვერცხები აწევია. მერე თქვენ გინდათ ამათ როდისმე ზოლიტაკურ-ეროვნული რადიკალიზმი მოსთხოვოთ?..

მერე და, ღმერთო ჩემო, ნუ თუ საქართველოში ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი მხოლოდ ამ ვაჭრების ინტერესების მიხედვით უნდა გადაწყდეს! რას აკეთებს ჩვენი „უმალღეს იდეალებით და პრინციპებით“ აღტურვილი და გატაცებული ინტელიგენცია, რას აკეთებს და რადა სდუმს ჩვენი თავდაზნალობა! ნუ თუ საქმარისია და ყველას ვაღლი მოხდელი ექნება, თუ ნიშნის გებით „მწვანელი იდეებისა და მეკვერცხების“ მოქმედების კიცხვასა და სასაცილოდ აგდებას მივყოფთ ხელსა. ყველასთვის ხომ ცხადია, ტირიფონაზე „პოლიგონი“ თუ რა საფრთხეს უმზადებს მთელი ქართლის მეურნეობას და აჰა, ესეც ვნახოთ, ვინ რას იზამს ამ საქმეში და ვინ რა უნარს გამოიჩენს საქმიანობაში. ყურები გამოქედილი გვაქვს ჩვენი საზოგადოებრივი ჯგუფებისაგან: არა მე ვარ საქართველოს ბედის გამგე და არა მეო და ვნახოთ ვინ რას გააკეთებს ფაქტიურად. ჯერ-ჯერობით კი საზოგადოებრივად ვსდუმვართ და მერე კი გვიან იქნება „თითზე კბენანი“.

...„გვითხარით, გვასწავლეთ სად წავიდეთ, ვის მივმართოთ, ვის შევართოთ თავი“?..

აგრე კენესის და გმინავს ასაყრელ სოფლების გლეხთა სწერს „სახ. გაზეთს“ ვინმე სანგანიძე და განა საკმარისია გორის ვაჭრების მეწვრილმანეობა აღნიშნოთ, მათ დავცინოთ და ამით დავკმაყოფილდეთ!?

ნ ა მ ც ვ რ ე ვ ი

ვინცა სვა, კიდევ დალევს; ვინცა სწერა, კიდევ დასწერს... მაგრამ გახსოვდეს კი, მწერალო, წერამაც სმასავით თავის ტკივილი იცის.

*

ბედი დიაცია: მდიდარსა და ღონიერს ელაქუცება.

*

ყმაწვილო, ქალი შენს ჩრდილსა ჰგავს: გამოუღებო გაგაქცევა; გაექცევი — გამოგიღებო.

*

ახალგაზრდობაში სიბერე არ მაგონდებოდა, სიბერეში ახალგაზრდობა მაიწყდებოდა.

*

ოჯახში ყველაზე უფროსი გამზრდელია, მერე ბავშვი, მერე ქალბატონი, ბოლოს ბატონი ვირის მუშა.

*

სიცოცხლეს რაც უფრო ფასი აკლდება, კაცი მით უფრო ებლაუქება.

*

ცოდვა გაძულდეს, ცოდვილი გებრალეზოდეს.

*

საქართველო პარიალაღემ გაჰყიდა.

*

ამერიკა ამერიკელებისთვის,
რუსეთი რუსებისთვის,
ბალკანეთი ბალკანელებისთვის,
საქართველო ვინგინდავისთვის.

*

ქართველმა თავისი ქირი იცის, იმისი წამალიც იცის, მაგრამ კვდება და ის წამალი მაინც ვერ დაუღვია.

რიზ ბაბა.

სომხური მეცნიერება

ბ-ნი იშხანიანი თავის პატარა წიგნაკში „ЭКОНОМИЧЕСКІЯ И ОБЩЕСТВЕННЫЯ ОСНОВЫ ЕРМЯНО-ГРУЗИНСКАГО АНТОГОНИЗМА“ — საოცარის მოურიდე-ბლობითა ხსნის ნიღაბს სომხურ ნაციონალისტურ პოლიტიკას და საშუალებას აძლევს ყოველ შეგნებულ ქართველს, ნათლად წარმოიდგინოს ჩვენი „მეზობლების და მეგობრების“ გულწრფელობა სიმშედისა და ძმობის მოძახილებში.

ბ-ნი იშხანიანი თითქმის მეცნიერულის სისწორით ხატავს თანამედროვე ქართული და სომხური მმართველი წრეების მდგომარეობას, მაგრამ არავითარ ანგარიშს არ უწევს ერის უმრავლესობათა განწყობილებას და აქედან არამცთუ ყალბი, პირდაპირ უტიფარი დასკვნანი გამოჰყავს საქართველოს სიკვილიზედ და ჩამორჩენაზედ სომხურ პროგრესიულ(?) კაპიტალის მსვლელობის წინაშე. რამდენადაც იგი სცილობს ობიექტიურად აღწეროს მდგომარეობა, იმდენადაც სრულიად უსაფუძვლოდ, უნიქოდ და თვალთმაქცურის სიყალბით გამოჰყავს დასკვნანი ამ მდგომარეობიდან.

თავშივე სრულის ქეშმარიტებით ამტკიცებს იშხანიანი, რომ სომეხ-ქართველთა ანტაგონიზმი მოგონილი კი არ არის, არამედ იყო, არის და იქნება*), რადგან ღრმა ეკონომიურ და საზოგადოებრივ საფუძველზეა დამყარებულიო. ამ საფუძველს იშხანიანი უმთავრესად ხედავს იმაში, რომ ქართველობა, თავად-აზნაურობის ზეგავლენით, მისდევს ძველებურს ნატურალურ მეურნეობას, რომელსაც ებრძვის სომხური კაპიტალისტური პროგრესიული (sic!) მეურნეობა.

ამას ამტკიცებს სტატისტიკური ცნობებით 1897 წლ. მაგ. ქართველობის 5,26%-ს შეადგენს თავად-აზნაურობა, სომხებისას კი მარტო 0,83%-საო**). მაშინ როდესაც სხვა წოდებათა შორის სულ სხვა დამოკიდებულებასა ვხედავთ, მაგ.

მემკვიდრეობითი და პირადი მოქალაქენი	ვაჭრები	მეშხანები	გლეხები	
სომხები	0,57%	0,53%	11,02%	78,54
ქართველი	0,20%	0,17%	3,54%	87,40%

თუ იშხანიანის აზრით, ამ ცხრილიდან გამოვ-

*) კურსივი იშხანიანისა.
**) ამას უნდა დაემატოს რომ იმათიუ მრავლესობაც ქართველ მეუღებისაგან არის გათავად-აზნაურებული.

ყავით ორთავ ერის გლეხობა, როგორც სრულიად პასსიური მასა, რომელსაც არავითარი გავლენა არა აქვს ეროვნულ საზოგადოებრივ საქმეებზედ, გამოვა, რომ ქართველთა და სომეხთა ერის სტრუქტურა ერთი მეორის მოწინააღმდეგეა.

რასაკვირველია, უფრო შორს შეიძლება წასვლა და მაკ. მარტო ვაჭრები და მეშხანები რომ დევტოვით შესადარებლად უკეთესი შედეგი მოჰყვება იშხანიანის თეორიისათვის. და მართლაც დიდი განსხვავება იქნება. **ამისთანა** შედარებათა რიგის შემდეგ, გამოჰყავს დასკვნა: გაბატონებულ კლასთა შედარებითი მდგომარეობიდან ირკვევა მაშასადამე, რომ ქართველობა **ფეოდალურ** სტრუქტურისაა სოციოლოგიურად და სომხობა — **მოქალაქობრივი** სა, რადგან უკანასკნელი შესდგება ბურჟუაზიისაგან **ეროვნულ სამღვდელოებასთან შეკავშირებულ** (*). თავად-აზნაურობა მისდევს დახვეწებულ ნატურალურ მეურნეობას, ბურჟუაზია კი — გაუმჯობესებულ წარმოებას და ყველა შეტაკება ეროვნულ, პოლიტიკურ თუ სხვა ნიადაგზედ სომეხ-ქართველთა შორის ამ ნიადაგზეა აღმოცენებულია.

შემდეგ აშხანიანი უფრო შორს მიდის და სამგლოვიარო სურათს გვისახავს წინა მსხვილი და წვრილი თავად-აზნაურობა პროლეტარიზაციის გზას ადგია, რადგან საქმის გაკეთება არ ძალუძს და მართო მამულების ნაწილობრივ გასყიდვითა შეუძლიან ცხოვრება. ამგვარად, მსხვილი მიწად-მფლობელობა ირღვევა და თავად-აზნაურობას თანდათან ეკარგება ძალაც, გავლენაც საეროვნო ცხოვრებაში. ეს მდგომარეობა მით უფრო მწვავედება, რომ მამულის გაყიდვისაგან შექმნილ ფულს, თ.-აზნ. საქმეზედ კი არა ხმარობს, ესე იგი კაპიტალისტად კი არა ხდება, არამედ პასიურ რანტიედ, უმოქმედო კლასად.

ამგვარად არღვევს ძველს ფეოდალურს წყობილებას ახალი კაპიტალისტური და არავითარ ძალას არ შეუძლიან ამის შეჩერება.

მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, ეს უკანასკნელი მეცნიერული დებულება, უცებ სომხური „მეცნიერებით“ იცვლება და გადადის შემდეგში: საქართველოს სინამდვილეში არ არის არავითარი ნიშანი (ШАНСЫ), რომ შეიქმნება როდისმე საკუთარი ბურჟუაზია, რადგან ქართველთა ცხოვრებამ ნამეტნავად **დაიგვიანა**, რომ შესძლოს საკუთარი ძალებით ცხოვ-

რება და ძალაუნებურად უნდა დაემორჩილოს გარემოებათ — ე. ი. დაუთმოს ეს ადგილი სომხის ბურჟუაზიას.

მართალია, ბ-ნი იშხანიანი სომხურ ბურჟუაზიას ისე ოსტატურად შემოაპარებს ხოლმე საქართველოში ევროპიელ კაპიტალისტების ფრთას ქვეშ, რომ ბრმანიც დანახავენ მის ვაჭრულ თალღითობას, მაგრამ საინტერესოა სტატისტიკური ცნობები მარტო ევროპიელ კაპიტალისტური წარმოებისა კი არ მოიყვანოს კავკასიაში, არამედ სომხებისაც. ამას კი მუდამ ხელს აფარებს ბ-ნი იშხანიანი. ერთადერთ საბუთად მოჰყავს საკუთარი მოსაზრება, რომ 1897 წლის შემდეგ მეტად გაიზარდა ემიგრაცია პროვინკიდან ქალაქებშია და ჯერ ერთი არ ასახელებს, თუ რომელი ერის ელემენტებისა და, მეორეც იგიწყებს რომ სომხების ემიგრაციას ქალაქებში, ანუ უკეთ ქალაქ თბილისში ხელი შეუწყო ეკონომიურმა ზრდამ კი არა, არამედ ნაციონალისტურმა მისწრაფებამ და სომეხ-თათართა შატაკება.

აი ამ ვაჭრულ ბურჟუაზიიდან იქმნება თურმე კაპიტალისტური კლასი, რომელიც ხელმძღვანელობს ეკონომიურად მთელს კავკასიაში, და კერძოდ ამიერ-კავკასიაში, და თუმცა ცოტა ზეითა სთქვა, რომ ევროპიულ კაპიტალთან ბრძოლა არავის შეუძლიან არამცთუ კავკასიაში, მთელ რუსეთშიაცო, აქ თამამად ამბობს, რომ **სომხური** კაპიტალი იცავს თავის პოზიციებს უფრო მძლავრ ელემენტების წინააღმდეგაო, ე. ი. ევროპიელზედ ძლიერი და პროგრესიული გამოდის (გვ. 32).

ამგვარად, დაასკენის იშხანიანი IV თავს, სომხური; რუსული და ევროპიული კაპიტალია ის მძლავრი ფაქტორი, რომელიც არ ასულდგმულებს და აღორძინების ნებას არ მისცემს არც ერთ სხვა ეროვნების კაპიტალს **ჩვენს** ქვეყანაშია (ანუ კავკასიაში).

როგორ უყურებს ამ ბუნებრივ მოვლენას ქართველთა ინტელიგენცია? ამ უკანასკნელის იდეოლოგია, როგორც იდეოლოგია ავადმყოფ, გადაგვარების გზას დამღვარი კლასისა (разрушающагося) — არ არის საღი და ლოლიკური. იგი ეწინააღმდეგება შეცვლას ძველი კლასისას, ახალის პროგრესიული კლასით. (გვ. 34)

გამოდის რომ ქართველი ინტელიგენცია თუ ეწინააღმდეგება სომხის ბურჟუაზიის გამეფებას თავის ორგანიზმში, იგი თურმე ეწინააღმდეგება პროგრესს.

*) კურსივა ჩუქნია

აქ ბ-ნი იშხანიანი ერთ უცნაურ აბრუნდის აკეთებს: მას მთელი კავკასია თავისი ერებით ერთ ორგანზმადა აქვს წარმოდგენილი, საცა თავად-აზნაურული უნიათობა უნდა შენიცვალოს კაპიტალისტური ბარაქიანობით და რადგან თავ-აზნაურობა ქართველობასა ჰყავს და ბურჟუაზია—სომხობას—ქართველობამ უნდა ადგილი დაუცალოს კავკასიაში სომხურ პროგრესიულ ბურჟუაზიას. და თუ ამას ეწინააღმდეგება ქართველობა, იგი საზოგადოებრივობის, კულტურობის და ისტორიის წინააღმდეგ მიდის. იშხანიანის რულებით თვალსა ხუქავს ვითომ იმაზედ, რომ კავკასიაში სხვა და სხვა ერები მოსახლეობენ და არა ერთი რაღაც კავკასიური მასსა და პროგრესზედ ლაპარაკი ერთი ერის ფარგლებში უნდა იყოს და არა ორისა, თორემ ასეთი ლოდიკით რომ იაროს, იშხანიანი სომხებს სულ ძირს გამოუთხრის, რადგან ხვალ მაგალითად კარზედ გაცილებით კულტურული გერმანია მოადგება და მოსთხოვს სომხებს: შენ თავზედ ხელი აიღე, რადგან ჩვენ უფრო კულტურული ხალხი ვართო. ასეც ამბობს ხოლმე ყოველი წათამამებული ერი, მაგრამ სხვა ერები ამას არ იზიარებენ; ნამეტნავად ისეთები, რომლის კულტურამდის სომხეთს ჯერ ბევრი რამ აკლია. ეკონომიური ძალა რომ კულტურის მაჩვენებელი იყვეს, მაშინ ხომ ამერიკა ევროპის მასწავლებელი გახდებოდა და მცირედში, სქელ-ჯიბიანი სომეხი გაფხეკილ ინტელიგენტს კულტურონობას დაუწუნებდა. ასეთი მადა კი აქვს ყოველთვის ფულიან კაცსა და ერსა: „ВСЕ КУПИЛО, СТАРАЯ ЗЛАТО“, მაგრამ ნამდვილ კულტურისათვის სულ სხვა მასალაა საჭირო.

თავად-აზნაურობასთან ერთად იღუბება წვრილი ქართული ბურჟუაზია და მათი (ორთავისი) პოზიციები გადადის სომხებთან; ასე საქართველოს სინამდვილე მიმართულია იქითკენ, რომ მამავალში არ ეყოლება ეროვნული გაბატონებული კლასი, რომელიც ეკონომიურ ექსპლუატაციას გაუწევდეს (გვ. 36) და „რა დაერქვას ისეთ ინტელიგენტისა, რომელიც ამ გაბატონებულ კლასების დაღუპვას ეროვნულ უბედურებად აცხადებს და მის მოშორებას მთელი ერის დაღუპვად სთვლის?—კითხულობს იშხანიანი. ჩვენ არ ვიცით რას დაარქმევდა ასეთ ინტელიგენტისა სომხური მეცნიერება, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცით, რომ ასეთი ინტელიგენტია საქართველოში არ არსებობს.

სომხურ მეცნიერებასთან—ეს სომხური ფან-

ტაზიაც გახლავთ, სომხურ „ხელოვნებასთან“ შეხვეებული, რომ მესამე პირთ თვალეში აუბან.

ასეთ ინტელიგენტისა ეკუთვნის ქართველი ინტელიგენტია, რომელიც დაღუპვის გზაზედ დამდგარ თავად-აზნაურობას იცავს და სასტიკ ბრძოლას უცხადებს ჩვენი (?) ქვეყნის საწარმოვო ძალთა განვითარებას—ტენიკას და კაპიტალს. ამის დამამტკიცებელი საბუთია ის, რომ ქართული ეროვნული პრესა უკმაყოფილოა საზოგადოთ სომხების და კერძოდ სომხური კაპიტალის*). (გვ. 37).

მაგალითად, თუ გერმანია ეწინააღმდეგება ინგლისის კაპიტალისტებს და მფარველობას უწევს თავისიანებს—ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანია ეწინააღმდეგება საზოგადოთ კაპიტალს. ამ მოსაზრებაში თითქო ლოდიკაც სომხურიაო—ისე გამოდის.

ბნ იშხანიანს ჩამოთვლილი აქვს ყველა ქართული და მოქართულე ორგანოებიც და უკვირს როგორ ერთსულოვნად ეწინააღმდეგებიან ყველანი სომხურ კაპიტალს, (38) ვერ შეუგნია ამის მიზეზი და ექვი შეაქვს, რომ ქართველები ისევე აწარმოებენ ანტი-არმენიზმს, როგორც არსებობსო ანტი-სემიტისმი.*) ამაში ნამეტნავად რწმუნდება იშხანიანი უკანასკნელად ატეხილ ბრძოლის დროს. იშხანიანის დარწმუნება ვერაფერი საბუთია სინამდვილისათვის, მაგრამ საჭირო კი იქნებოდა ისეთი მაგალითის გამოჩენვა, როცა სომხურ კაპიტალისტ-ნაციონალისტების და უკეთ, სოლოლაკელების გარდა, ქართველ ორგანოებს მიეტანათ იერიში მთელ სომხობაზედ? ან და საზოგადოთ ყოველ გვარ კაპიტალზედ, როგორც ამას უტყუარად ამტკიცებს იშხანიანი: რუსულ, უცხოელ თუ სომხურ კაპიტალსაო (40). ბ-ნ იშხანიანს არ ესმის რომ ქართველობა წინააღმდეგობას უწევს არა საზოგადოთ კაპიტალს, არამედ იმ სომხურ-შოვინისტური სულით გაქვინთილ ჩარჩობას, რომლის ძალითაც სომეხი ჩარჩები (და არა კაპიტალისტები, რომელთა არსებობა ჯერ დასამტკიცებელია) სწოვენ ჩვენი ერის სიმდიდრეს.

ყველა ამის შემდეგ, იშხანიანი მთელ VI თავს უძღვნის იმას, თუ რა სარგებლობა მოაქვს ხოლმე საზოგადოთ კაპიტალიზმის განვითარებას ცხოვრებაში და ამ საზოგადო მოსაზრებიდან გაშოჰყავს, თუ რა სარგებლობას მოუტანს მამასადამე სომხური კაპიტალი საქართველოს.

*) აქ იშხანიანი კომპლიმენტებს უკეთებს „სახალა გასეთს“, რომელიც თვითონაც ებრძვის ნაციონალისტებს და ამით ამავრებს სომხურ ჰოზიციებს.

ასეთი სიყალბე მართა სომხურ მეცნიერებას შეუძლიან: ეს იმასა ჰგავს, ადამიანს დაუმტკიცო, რომ ფული საზოგადოთ სასარგებლო და სახიეროა ადამიანისათვის და ამავე დროს, ხურდაში ყალბი მანეთიანი შეაპარო. ეს ხშირად ხდება ჩვენს თბილისელ ვაჭრებში, მაგრამ თუ ამას ადგილი აქვს მეცნიერებაშიაც—ესეც ალბად თბილისის ვაჭართა გავლენითა ხდება.

(შემდეგი აქნება)

* *

მიწის გარშემო

ქართველების გადასახლება საბერძნეთში.

ამას წინად ვაცნობეთ მკითხველს, რომ საქართველოში მცხოვრებნი ბერძნები დაიძრნენ, სტოვებენ თავის მამულებს და მიდიან საბერძნეთში. ესლა გვატყობინებენ, რომ მათ შორის საბერძნეთში, ბერძნებთან ერთად, მიდიან ქართველებიც. ეს ქართველები სცხოვრობენ სახაზინო მიწაზე ძველად-ძველ ქართულ სოფელ რეხაში (ქციის ხეობა) და შეადგენენ 100 კომლს. დრომ და გარემოებამ ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა რეხელები, რომ უკანასკნელნი ისე გაბერძნებულან, რომ აი დღეს სტოვებენ სამშობლო კერას და უცხოეთში მიდიან. მათ გაბერძნების მიზეზი უმთავრესად ის იყო, რომ ქართველ სამღვდელეობამ დროზედ არ უპატრონა (ან სადა გვყავს ეროვნული სამღვდელეობა!) მღვდელი არ მისცა, ვერც მოუწყო ქართული ეროვნული სკოლა და ასე მიგდებულნი შორეულ კუთხეში საბრალო რეხელები უცხოელების დაჟინებულ გავლენის ტალღამ წალეკა და ნაფოტსავით თანაც წაიღო.

მამულების შექენა. ჩვენი გლეხობა ცოტა დაფაცურდა. მამულების სყიდვა-შექენას შეუდგა და, რაც უფრო საყურადღებოა ამ მოვლენაში მათ იგრძნეს დღევანდელი საშიში მდგომარეობა, სოფლის მამულების უცხოელებზედ გადასვლისა. ერთი ჯგუფი ერწოვლ გლეხებისა ჩამოვიდა საჩივრელად ახალ მემამულეზედ ვიდაცა ბონდარენკოზედ (რომელმაც თავად ქავკავაძეებისაგან თიანეთის მაზრაში მამული შეიძინა) რომ უკანასკნელი მეტად აწუხებს მათ.

„ბატონო!—სჩიოდნენ გლეხები—ის წყალ წაღებულა, იმოღენას მოგვთხოვს, რომ ლამის ჯანდაბას გადავიხვეწოთ. შემოიტანე მეოთხედი მოსავლისაო, პური და ქერი გამოიღეწო, თავის ალაგას ჩაყარეო. ერთი სიტყვით მთელი ჩვენი შრომის დღეები მას უნდა მოვანდომოთო. მოგვეშველეთ როგორმე... და დაგვიხსენით ამ მდგომარეობიდანა“—ო. რასაკვირველია ერთი პასუხი მიიღეს. ეცადეთ მამული შეიძინოთ ან იქვე მახლობლად ან სხვაგან. წინად ამ პასუხს ჩვენი გლეხობა რასაკვირველია არ მიუღებოდა, მაგრამ დღეს კი, როდესაც გარემოება ნამეტნავად შეიცვალა და უცხოელებმა თავისი კბილები უჩვენეს, თხოულობენ: „მაშ გეთაყვა გვიჩვენეთ თავისუფალი მამულიო“... ამ ხსენებულ გლეხებსაც უჩვენეს და უკანასკნელნი კიდევ გაეშურნენ მის დასათვლიერებლად.

აგარაკ მენქალისში (თბილისის მაზრა, მდინარე ხრამის ხეობა. მანგლის-ალბულადის რაიონი) ახალქალაქის მაზრის რამდენიმე ქართულმა სოფელმა—ბალანთამ, აზავრეთმა, ბარალეთმა, ქორელიამ, სარომ, სულ 50 კომლმა, საადგილ-მამულიო კომისიის დახმარებით თავად იოსებ, ვლადიმერ და ანასტასია ბარათაშვილებისაგან შეიძინეს 1297 დესეტინა მიწა, 51,000 მანეთ დ, დესეტინა დაახლოებით 40 მან. (ამ რაიონში დესეტინა ღირს არა ნაკლებ 100 მანეთი, მაგრამ ხსენებულ ბარათაშვილებმა, იმ პირობით, თუ ქართველი გლეხობა იყიდის, დაუთმეს მათ 40 მან. ქება და დიდება ასეთ ქართველ მემამულეთ!) საადგილ-მამულიო კომისიამ ასესხა გლეხებს 4000 მანეთი სამი წლის ვადით ბეს შესატანად. თვითონაც დაუმატეს 7000 მანეთი დანაჩენის კი სესხულობენ საგლეხო ბანკიდან.

რამ აიძულა, ჯავახეთის ქართველობა მამა-პაპურ ადგილიდან დაძრულიყო და ახალ ქალაქის მაზრიდან თბილისის მაზრაში გადმოსულიყო? რასაკვირველია უპირველესად ყოვლისა მცირე მამულიანობამ და მეორეს მხრივ—გარემო პირობებმა. 1828—30 წლებში პასკევიჩმა ახალქალაქის მაზრაში, არზრუმიდან გადმოსახლებულ ეპისკოპოს კარაპეტას მეთაურობით სომხობას უხვად გაუბოძა სახაზინო მიწები და ადგილობრივ მკვიდრზედ—ქართველობაზე—არც კი უფიქრნია. იმ დროიდან დაწყებული, ჯავახეთის ქართველობა დღემდის, შევიწროებული, დიდ გაჭირვებას განიცდიდა. თანაც სომხები არ ექცეოდნენ მათ მეზობლურად და ბევრს შემთხვევაში უფრო მტრულად ეკიდებოდნენ. ამ

მხრივ საყურადღებოა ბედი მ კომლ სოფელ აზაგ-
რეთის ქართველებისა.

ისეთი გარემოება შეუქმნეს სომხებმა ამ სამ
კომლს ქართველს, რომ უკანასკნელნი თითქმის
გასომხებულან და ძლივსღა ლაპარაკობენ ქართუ-
ლად. სხვებიც არა უკეთესპ ირობებში სცხოვრობდ-
ნენ და რა გასაკვირველია, როდესაც ჯავახეთის
ქართველობამ იგრძნო, რომ იგი განმარტოვებულია,
მხარის დამჭერი და პატრონი არავინა ჰყავს, ეძებდა
შემთხვევას ამ ღუბჯირ მდგომარეობიდან თავის და-
ხსნას და პირველივე შემთხვევაში ჩრდილოეთისაკენ
გაიწია... აგარაკ მენქალისის მამულსაც მეტად ეტა-
ნებოდნენ უცხო ტომეონი... მაგრამ დღეს დღეო-
ბით ჯავახელებს ხელში შერჩათ... მხოლოდ ვინ
იცის იქნება ხვალ, კვლავ უპატრონონი იძულებულ-
ნი იქნებიან სომხებს დაუთმონ ეს მდადარი რაი-
ონი... ესეც მოსალოდნელია, რადგანაც ქართველი
ინტელიგენცია დღეს, „სოციალიზმსა“ თამაშობს,
როდესაც მისი მტრები — „ნაციონალიზმსა“... ვინ

ერევა ამ ბრძოლაში... ამაზე ჯავახეთის ქართველ
გლეხობის ამბავი მკაფიოდ ვვიპასუხებ.

ბარნაბიანთ კ რში (ქართლი, აგარაკი აშური-
ანი) 48 კომლმა გლეხკაცმა ნინო ამილახვრისაგან
(მეუღლე გიორგი ოთარის ძე ამილახვრისა) შეიძი-
ნა 154 დეს. 2340 კ. საყ. მიწა 24800 მანეთად.
ამისათვის კომისიამ ასესხა ერთის წლის ვადით 1000
მანეთი. 15000 მან. გლეხები სესხულობენ საგლეხო
ბანკიდან დანარჩენს თვითონ ერთმანეთში აგროვე-
ბენ. კარგი იქნებოდა სხვა სოფლებმაც ბარნაბიანთ
კარელების მაგალითს მიბაძონ და რაც შეიძლება
მეტი მამული დაისაკუთრონ ავ საუკეთესო რაიონ-
ში. გასასყიდი მამულებიც ამ აგარაკში საკმაოდ და
მოიძებნება, საჭიროა მეტი მხნეობა და გამბედაობა
მაშინ ფულიც ადვილი საშოვნელია.

დ. ვ.

არს ამის სოფლისაგანი არს

(დასასრული)

ვარსკვლავების მკრთალი შუქით განათებულმა ველ-
მა მგზავრები ერთ ტბასთან მიიყვანა, რომლის წყნარ
სუდა ზირსე ვარსკვლავების ბუნდი ანარკლები მოსჩან-
და. ტბის ნაპირები ტუათ იყო დაფარული: ბუჩქები
პირდაპირ წყალში ჩაკიდულიყვნენ. არე-მარე ძიღს მის-
ტეშოდა და წყნარად ფშვინავდა. მარტო რომელიღაც დი-
დი თევზი არდევდა სოღმე სიჩუმეს საიდუმლო შელო-
დიური ქუაზუნით და ისიც ხანდახანა. ერთ ადგილას
ბუერებით შემოფარგლული ეურე იყო. მთავარმა სწო-
რეთ აქ ჩაუყარა თევზებს საკენკი. გადიებული მარცვლი
მუჭა-მუჭა გადადიოდა წყალში და საფანტეით მხუილი
გაჭქინდა.

— ჭამეთ, დმერთმა შეკარგოთ, — ჩურჩულებდა და-
დინჯებული სახით მთავარი, — ჭამეთ! მოდით ქორჭი-
ლებო, მოდით, აგრემც დმერთი გაშველით!

როცა თევზებს სულ გადაუყარა საკენკი, წყალს
პირველად გადასწვრა. მერე ტეცხლი დაანთო, ქეთლი
ჩამოჭიდა და ტეცხლის შუქზე ნეკსკავების დამსადებს
შეუდგა.

— ნეტა რა იქნა მამაო? — სთქვა თავისთვის მთა-
ვარმა და ბნელ ადგილებს დაუწყო ტქერა. — კარგი კა-
ცია... შენანება. რა ამოსწევუტები არიან ეს დედაკა-
ცები!.. — ამბობდა ჩაფიქრებული და თან თავს იქნეე-
და.

ქეთლი წამოდუდა.

— მამაო! — დაუძახა მთავარმა მღვდელს ჩურჩუ-
ლით.

— აი, აქ არა ვარ! — მოესმა უკანდან სმა.

მთავარი შეკრთა და მიტრიალდა, მაგრამ ვერაფერ
კი დაინახა.

— სდა ხართ? — ჰკითხა მღვდელსა. — რას განა-
ბუღხარ! შემაშინეთ.

ისევე სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ტეცხლს-და
გაჭქინდა ტკაც-ტკუნი...

— ეგ თქვენა ხართ, თუ სხვა ვინმე? — დაიფიქრა
გულგახსოვნილმა მთავარმა, როცა ბნელაში მღვდელი ვერ
გაარჩია.

— კარგია აქა, — ამბობდა ხელი ხმა ბნელაში, —
 ოცნებამ გამიტაცა. ნეტავი სულ ასე ვიჯდე აქა და...
 სულ ვარსკვლავებს ვუტყობო... სიჩუმეს ეური ვუტვლო...
 მიწიერ რამეზე არაფერი ვიფიქრო. ეჭვ, რასთვის არის
 ქვეყნასზე ამდენი დაფიქრება. ვის რად სჭირდება. აი
 როგორ მესმის ქრისტეს სიტყვები: ჭზრუნავ და შოთ-
 ხარ მრავლისთვის... აქა ერთისა არს სხმარ! ...სახე
 უფლისა დე და დამ თავს დაკვეთებს... იმის მშვენი-
 ერებას კაცი ვერ ასწერს! ადამიანებს რომ შეეძლოთ...
 ამის გაგება! დარდი და ვარაში გაქრებოდა დედამიწის
 ზურგზე...

მდღელი გახუმდა.

— ჩაი მზად არის, — სთქვა დაღვრემილმა მთა-
 ვარმა.

— როგორა სთქვით დედაკაცებზე... — მდღელი
 წინ წამოდგა და ცეცხლის შუქმა მომღიმარე სახე გაუ-
 ხათა.

— დედაკაცებზე? — გაიკვირა მთავარმა და წამო-
 წითლდა. — განა გაიკვირებ?

— აქვე ახლოს არ გეგუქით! ეგ შემდგარი ახ-
 რია, — მდღელი ცეცხლს მოუჯდა. აი... თქვენი თა-
 ნამეცხედრე: განა საუკარელი ადამიანი არ არის? ჩემი
 საშენა?.. სული და გულია. თუმცა ცოტა ბევრა კი
 იცის... საზრუნელი აქვს, რას იხამ. მიწიერი მიწიერ-
 ზე ფიქრობს. ეველანი მართლები არიან... მე და თქვე-
 ნაც. ციური კი... — ჩაიფიქრა, ცეცხლს მიამტვრდა. —
 ეველა... ეველა ადამიანი... კარგია! თვითუფლის გულ-
 ში დგთაბრივი ცეცხლი ანთია .. ეგ არის მხოლოდ,
 რომ ქვეყნიური ამაოება ხელს უშლის გაძლიერებას. ცი-
 ური კი... სიწინარეში იხენს ხელმე თავსა! ჩვენ ევე-
 ლანი მარიაშები კი არა, მართები... ვართ! ბევრზე
 ვზრუნავთ, ბევრზე... დიხ ბევრზე. — იმეორებდა ხელ-
 ხელა მამო.

მთავარს სახე მოჭკუშოდა და სდუმდა. უცბად გა-
 დაფურთხა და გაჯავრებით სთქვა:

— ეველანი, ისინი... დემონტაჟშიწარალი დალილები
 არიან! მიართვით, მამო, ჩაი.

...ინათლა, მაგრამ თვეზის ჭერას მაინც თავი არ
 დასხებეს. შქრალი ვარდისფერი ცისკარი სადღაც ტუის
 იქით ძლიერდებოდა, კბრძოდა ტუის ბუნსუსს და მიე-
 რეებოდა თავისი ჭერ კიდევ ბუნდინი შუქით. სუბუქი,
 გამჭვირვალე ნისლი ეფინებოდა ტბასა და ხელ-ხელა
 ქრებოდა. მაგრამ ტბამ კიდევ აინარეკლა დილის ცის-
 კარი, და ლივლივები გამოჩნდა. მამო ლივლივებს
 თვალს არ ამოკრებდა; იმის შუტი ადარაფერი ახსოვდა
 რა; იყო განაბული, თითქოს არც კი სუნთქავდა და ეო-
 ველ წუთს თვეზის ამოსაგდებლად მზად იყო.

მაგრამ თვეზი არ ეკებოდა.

ეველაფერი უმოძრავოდ იყო, ეველაფერი: ლივლი-
 ვები, ბუერის მუქი ფოთლები, ლელი, ბუჩქი, ტუე და
 თვით მთავარიც, რომელსაც ლივლივებისათვის მიეპერო
 თვალი და იყო ისე გაჩერებული. მარტოდ-მარტო თეთ-
 რი ღრუბლები მიიზღავს ნებოდნენ ცაზე.

— მოჭკიდე რაღა პირი, — ჩურჩულებდა მთავარი,
 — მოჭკიდე, თვეზო ღვთისაო!

ბედმა პირველად მამოს გაუღიმა.

უცბად ლივლივამ გვერდზე გადაიხრა და სწრაფად
 ძირ-ძირ წავიდა. ერთბაშად იელვა წყალში ვერცხლმა...
 და თვეზმა ჭკარში შეითამაშა. ალღევებულმა მამომ
 ისეთ ხაირად ამოჭკრა ნევისკავს ხელი, რომ თვეზმა ზედ
 თავზე გადაურა. გაქანა მამო ტუისკენ და თითქმის
 ზედ დაეცა მსხვერპლსა, გამარჯვებულმა აღტაცებით ას-
 წია მდლა დიდი ქორჭილა და, ჩურჩულით დაუძახა
 მთავარს, უნდოდა თავის სიხარული იმისთვისაც გაეზი-
 არებინა. მაგრამ მთავარს მდღელისთვის არა სცხელოდა,
 წელში მოხსნილიყო და წელიდან რაღაცას არახვეუ-
 ლებრავდ ძლიერს, მარდსა და კერძს ეწოდა. როგორც
 ეტობოდა, ქორჭილა არ იყო. ნევისკავის ბაწარი იჭიმი-
 ბოდა და წყალს ჭხახავდა. — ხანდისხან წყალში დიდი
 თვეზის გვერდი იელვებდა ხელმე ვერცხლივით.

მამო გულის ფანტაქლით ელოდებოდა.

მთავარი ადგა.

დიდი ბრძოლა მოუხდა თვეზთან; ეოველნიარ ს-
 შუალებას ხმარობდა, რომ ნევისკავის ბაწარი არ გაწვე-
 ტილიყო; ხელ-ხელა, ხელ-ხელა ეწოდა. ბოლოს, როცა
 თვეზი სულ ახლოს მოითრია, მოულოდნელის სისწრა-
 ფით ამოჭკრა ხელი და ნაპირზე გადაიხეთქა. მთავარი
 მაშინვე ეცა თავის მსხვერპლსა და ლაუნებში წააგლო
 ხელი...

მამოც საშველად გაქანა.

— დაარეტიანეთ, თორემ გაგისხლტებთ, დაარე-
 ტიანეთ! — უევიროდა მამო მთავარს.

მაგრამ მთავარს მსხვერპლი კიდევ დაეოკებინა: ვე-
 ებერთელა ქარიელაშია ეჭირა ხელში. თვეზი ძალზე იგ-
 რიხებოდა, მთავარი კი გახარებული შესტყეროდა და
 გაკვირვებული იძინდა: ეს როგორ მოხდა, რომ ბაწარი
 არ გადადრინა!..

მთავარმა ერთხელ კიდევ ვერცხლის სატყველივით
 მრგვალი კაპარჭინა დაიჭირა და ერთი-ორად იტყა:
 უსახდრო აღტაცებას მიეცა.

კარგა ხანი გავიდა. მზე თავზე წამოადგა ტუისა
 და ტბასზე აქროსფერი ნაპერწკლები მოაფრქვია და
 აათამაშა. მდღელი და მთავარი ისე იფინეს საქმიში
 გართულნი რომ ვერაფერს ამჩნევდნენ. ხელის კანკალით

აკებდნენ ჭიაუელებს ნეესკავებზე და გაფანტებული აღოდნენ ახალ მსხვერპლს; ლიფლივეებს თვალს არ აშორებდნენ. თევზი სტუფუდებოდა და ეგებოდა ხევისკავზე; ქორჭილა ქორჭილაზე გადმოდიოდა და ვერცხლივით ბზინავდა ჭიერში. მღვლედი და მთავარი უსიტუვოდ უზიარებდნენ ერთმანეთს თავის სიხარულს, — ხმას ვერ იღებდნენ, თევზის დაფრთხობისა ეშინოდათ. თუ რომელიმე ნიკოი დასჭირდებოდათ ხოლმე, ჩურჩულით ამბობდნენ. მზე კი სულ მადლა-მადლა მიდიოდა, ტუის ტევრს ოქროს ისრებს ესროდა და ცასა და ჭიერს ახურებდა. ეველგან სინცხსლე სდუღდა და გადმოსდუღდა: ეველგან მხიარულობდნენ, ხმაურობდნენ, ერთმანეთს ეძახდნენ, ათასნაირ ხმაზე წრიახებდნენ, ურანტალებდნენ, ლელს აშრილებდნენ; გამჭვირვალე ფრთებით დაჭვარფატებდნენ წყალსა, წვრილ და გრძელ ფეხებზე დაჭქროდნენ ბუერებში; შავი ფრთებით დასრიალებდნენ ჭიერში და უსტვენდნენ, სადღაც სულ მადლა ნახი ხმით ჭვალდებდნენ. მამა ითვისებდა ეველს ამ ხმას, იქდინებოდა, თითქოს თავის გულს სიმებითაც ზასუსს აძლევდა, მაგრამ სახეზე ეტუებოდა, რომ მთავარივით ელოდებოდა: მთავარივით ლიფლივეებს მიშტერებოდა.

უტბად...

— მამა!... — გაისმა სადღაც ახლოს უკირილი.

მღვდელმა თავი მადლა აიღო: ტბის იქით გლეხი დაინახა და განწირულივით ხელები გააქან-გამოაქნია. მერე წამოვარდა ზეზე, ტბის ნაპირს მოშორდა და ბუჩქებიდან დაივიროს:

— ზართენ... შენ ხარ?

— მე, მამა, მე!

— რა, ჩემთან მოხვედი?

— შენთან...

— თევზი არ დაგვიფრთხობ! მოურე! — უთხრა მღვდელმა და ნეესკავებს დაუბრუნდა.

ზატარა ხანს უკან ველზე ბუჩქებიდან მადლი, გამხდარი გლეხი გამოძვრა: მოკრძალებული და დაფიქრებული სახე ჭქონდა; ცოტა არ იყოს, შეშინებულივითაც გამოიყურებოდა.

— ჩემად იყავი! ჩემად! — მიუბრუნდა მამა საჩქაროზე მოსულს და ჩურჩულით უთხრა. მერე წამოდგა ზეზე, მივიდა ახლოს და ამბავი ჭქითხა.

— ნათლობა, მამა. ძლივს გიპოვე. უარს ნუ იტყვი, წამოდი! — შესთხოვა მოსულმა.

— ბიჭოს! განა ლეკერიუშა ლოგინზე დაწვა?

— წუხელის მამა!

— ძალიან კარგი, ძალიან!

მამა სიხარულით ხელებს იფშენებდა.

— ვაჟი ჭქავს, თუ ქალი?

— ვაჟი, მამა!

— ეგ ხომ სულ უფრო კარგი! სწორე გითხრა გამეხარდა! მომილოცავს, ზართენ! ახა რაღა თქმა უნდა ლეკერიუშაც განარებული იქნება?

— მამა, მამა... რამდენი ხანია შეიღი არა გვეყვდა გვეკონა, ასე დაუბრდებოდათ, მოხუცებაში ნუგეში არ გვეყოლებოდა!

— იცი რა, ზართენ... მე და მთავარს შუადღისათვის გვინდოდა დაუბრუნებულიყავით...

— დიდი ხანია შუადღე იყო კიდეც, მამა!

— რას ამბობ?

მღვდელმა ცას შეხედა.

— ძალიან მოსდევს თევზი და, მეგობარო, თავის დახებებს მეზარება. სადაშოთი მოვანთლავთ... სწორეთ მაშინ მიცვალებულიცა გვეყავს.

— მამა... ჩვენი ნუგეში!

გლეხმა დაბლა თავი დაუკრა.

— სადამომე ვერ გადავდებთ, შეუძლებელია: მოკეთებმა, სტუმრებმა თავი კიდეც მოიყარეს... ეველ-ფერი მზად არის. ლეკერიას ხომ ექნება.

მღვლედი ჩაფიქრდა, ნეესკავებს გადახედა, ეჩნებოდა. უტბად წელში გასწორდა და სახე გაუბრწყინდა.

— მეგობარო, ჭა მეგობარო, — სთქვა ჩურჩულით მამამ, — ზტივი დამე! მეც როდისღე სამაგიეროს გადაგიხდი. ისევე სჯობია ნათლობის არაფერი გამოგართო! ხომ სულ ერთია, ეკლესიაში მოგიხდებათ წასვლა... ნახევარი ვერსი იქნება. შენ... ამ სათმევე სოფელში გაიქცე, შეაბი ურეში, მნათე მიხეიჩი წამოიყვანე, თან ემპახი და შესამოსელი წამოიღეთ, წამოიყვანეთ ბავშვი თავისი ფალას-ფელასებით და აქ... აქ მოდი!

მღვდელმა მხიარულად გაიქნია ხელები.

— რითია აქ ცული? აქაც ღვთის სახლი არ არის?

გლეხი ჭერ ცოტა აირია, ჩაფიქრდა. ბოლოს გადაავლო თავი მთავარსა, რომელიც უძრავად იჯდა და ნეესკავებს ჩასტქეროდა, თანაგრძნობით ჩაიცინა და დათანხმდა.

— მამა გასწი რაღა! — უთხრა მამამ.

გლეხი წავიდა.

მღვლედი ფიცხაფუცხით დაბრუნდა და ჩაუყვდა ნეესკავებს.

— გაიკეთ?... — უთხრა მთავარს ჩურჩულით. — ლეკერიას ლოგინზე დაწოდა!

მამა თან იცინოდა, განარებული, ჩემ-ჩემად, თან გათხუნული ხელით ნეესკავებზე ჭიაუელებს აკებდა.

მთავარმა ხმა არ ამოიღო, ცხვირშირი ჩამოუშვა.

— იცნო თქვენა მამაო, — სთქვა ზატარა ხანს უკან, — ხალხი რას ამბობს? ვითომ მაშინ ჰართეს მართლაც ენახოს ტუქში ტუქდურთა... აი ასე ზირის-პირ, როგორც შე და თქვენ.

— შეუძლებელია!

— ეს კიდევ ცოტაა. ასე ამბობენ, ტუქში ბებია კორაინისას რჩევით წავიდა თურქი, წირეები შემთავლო და ნახშირი წვა, რომ ტუქდურთა გამოეწვია.

— რისთვის?

— შეიძლას სთხოვდა! — სთქვა მთავარმა და სახე მოიდუშა.

მღვდელი გაცრდა.

— მაჰ, — სთქვა თავის ქნეკით, — დურთმა ცოდვად არ ჩაუთვალა, იმისთვის რომ დაფარული არა არის: კაცის განწირულება დაინახა... და ნუგეში გამოუტყავს.

გაკვირვებულმა მთავარმა გვერდ-გვერდზე გახედა.

მღვდელი კი ჩაფიქრებული ჩერჩელებდა:

— შეიძლება... შეიძლება...

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ხან მღვდელი ამოგადებდა ხოლმე თეფხსა, ხან მთავარი და დრო შეუმჩნევლად გარბოდა. ახლო ბუჩქებში შრალი ატულა, გუგუნის გაისმა. ველზე რამდენიმე სული გლეხი გამოვიდა. მალას და ქერა გლეხს ემბაზი მოჰქონდა; სახეზე ეტობოდა, რომ მხიარულად იყო: ჯერ ისევ შორიდანვე დაუვირთა მღვდელსა:

— თეფხი ნუგავას ზირს ჰკიდებს, მამაო, თეფხი! ველი გამხიარულდა.

მხათემ მიხეინმა ემბაზში წვალი ჩაასხა და გარს ნახირებზე სანთლები ჩამოუშვროია...

ბებია მოქარგულ ჩერებს ამხადებდა. შორი-ახლოს ნათლია გოგონა იდგა მოკრძალებით და ხელში მხამხარეულად ჯვარი და ჰერანგი ეჭირა. მთავარი იძულებული იყო ნუგავებისთვის თავი დაენებებინა. უძილობისაგან სახე დასიებული ჰქონდა. უკმაყოფილობა ეტობოდა. წამოდგა თუ არა ფიქზე ქერა გლეხის თვალი უყო, რადაც ანიშნა. გლეხი მალე მიხვდა და ჯიბისაკენ ხელი გააქანა.

— არის, არის! — უთხრა ხარხარით მთავარსა. — ნუ სწუხარ, მთავარო, ვიცნო წეს-რიგი!

მზეზე რადამაც გაიბტყვროიდა.

მთავარი გამოცრცხლდა.

— აი, ეხლა კი გაქებ! — უთხრა ქერა გლეხის ბოხის ხმითა და თითით ტუქის ნახირისაკენ გაიწვია.

— აბა წავიდეთ ვიხურჩულოთ!

დიდხსნს არ უჩერჩულოთ. მიდგნენ ჩრდილში და რადაც გამოიკვლიეს. რიგრიგობით ხან ერთმა ასწია თავი მადლა, ხან მეორემ, მომხიარულდნენ და ტუქების ლაკვით დაბრუნდნენ ემბაზთან. ემბაზი მწვანეზე იდგა და მზის სხივებზე ვერცხლივით ბზინავდა. მნათეს სანთლები ანთო. მამაო წესის შესასრულებლად მოემზადა. იქვე მდგომს ჰართეს საცეცხლური დააჭერინა, თვითონ ეპიტრაქილი გადაიცვია. ჰართეს თავი ჩაედუნა, მამას კიდევ ისეთი დარბაისლური გამომეტყველება ჰქონდა, რომ გეტკნებოდათ დიდი ზემისთვის არის მომზადებულიო.

— აბა, — წარმოსთქვა მთავარმა, — თავიდათავი ზირი სად არის? თავიდათავი ზირი ჭრულ-ჭრულ ჩერებში გამოეხვიათ და ხის ძირს მიეწვინათ. საერთო საქმეში განწირული ჩხავილით ჩერია. მანამდის არ დაჩემდა, სანამდის ზირში რადაც შავი არ ჩაუდეს გამოსაკვლევა; ისე ბგვიად შეუდგა საქმეს, რომ მთავარს და ქერა გლეხს გადააჭარბა.

— კურთხეულ არს დურთი ჩვენი, — დაიწყო მამამ.

— ამი-ინი! — გაიცა ზასუხი მთავარმა დაბალის ბანით... და ღაცვისა და გალობის ხმები მოედგა ტუქის ტევრსა და ტბის ზედაპირსა. ლელიანიდან იხვები წამოიშლნენ, გაენით აფრინდნენ მადლა და ტბის ზევით დაიწყეს ტრიალი. ზატარა, ცნობისმოყვარე ჩიტუნიები ტოტებიდან ტოტებზე ხტებოდნენ და ემბაზს უახლოვდებოდნენ, თავსა ჰლუნავდნენ და გააცნებლნი იტქირებოდნენ თავისი შავი თვალებით. ტვერიდან კურდელი გამოვარდა, უკან ფეხებზე დასკუზდა, უურები ზურგს გააკრა და სულელური სიმკაცრით დაიწყო უურება.

რათა გამოჰსწნეს ესე ძედ ნათლისა. — წამოიურხუნა მთავარმა.

კურდელი დაფრთხა, წამსვე ზურგი იბრუნა და კუდამოძუებულმა მოუსვა.

ჰართენი დაჩქაილიყო და გულმოდგინეთ ღაცულობდა; თვალებიდან ცრემლები გადმოსდიოდა. მზე ნელ-ნელა ეფარებოდა ხეებსა და სხივებს მომწვანო ფერი ეძლეოდა. მამამ ბავშვი ემბაზში ჩაწვა. სხივებმა ერთი ნახად მიუაღერეს ბავშვის წამოჭარხლებულ ტანსა და მერე როგორღაც უცბად ჩამაღრნენ. ემბაზს ტუქის ჩრდილი წამოადგა. ერთმა ბავშვმა დაიფიქნა და ათსმა გასცა ზასუხი: იფიქნეს, იფიქნეს და გაჩემდნენ, თითქოს ჯერ თავის აზრი გამოთქვენ და ახლა სხვას უგდებენ უურსათ. სადაც ნახირთან წულის თავიციტ ახმურდა, მერე ქარმაც დაჰბერა, ხეები ააშროდა და ისევ მალე ჩაღვდა, თითქოს ვინმემ გამოიბინა ტუქზე, ტუქის

სანაპირო შეანძრია, იქვე ჩაიძალა, განსაბ და რიდაცის თვალიერება დაიწყო. მუხლმორილი ზართენი მიწასე დაქმნა და იყო ისე დიდხანს, თითქოს თავის შაღლა აღების კმინდა.

მღვდელს დადლილობა ეტუობოდა, მაგრამ მანც სისოებით ამბობდა სიტყვებს:

— გაცო მოუვარე და მოწყალე ანს დმერთი...
— ამინ! — რუხრუხებდა მოავარი.

მონათლეს ბავშვი.

ველზე ისევ მხიარულობა და სიხარულით აღსავსე ხმაურობა ატულა. ბებია შტირალ ბავშვს დასტრიალებდა თავსა. მისეინი ემბახსა და შესამოსელს მიუტრიალდა. ქერა გლეხი ხმა შაღლა ლაზარაკობდა.

— აი ახლა კი უნდა ვიზრუნო აღზრდისთვის, მამაო. — ამბობდა გლეხი და ხელს ჩხავანა ჩერებისაკენ იშვერდა.

— შერე, როგორ ავზრდი! ისეთი კაცი გამოვიყვანო, რომ არავის არაფერი დაუთმოს რა! ასე მამაო!

მღვდელი იცინოდა.

— შეგობარო, ვსილიხ, რა სსჭირთა მაგისთანა ლაზარაკი?

— სსჭირთა! ძაღიან ბუერი სხვა და სხვა ხაღხი წამოავდა გლესს ზურგზე... ცოტა უნდა მანც შეიბერტულს! იცით, აი ასე ცოტა მხრები შეიშვეშნოს... რომ ჩამოცვიდნენ. — გლესმა მართლა შეიშვეშნა მხრები. — თორემ... ხედავ... როგორ წამოასხდნენ!

მამამ ქვეშ-ქვეშ გამოხედა, რაღაც გამოურკვეველი გაოცება გამოიხატა სახეზე.

— ცოტა მეტი მოგდის აა, შეგობარო ვსილიხ... განს მაგისთვის არ იჯექი.

გლესმა, შუბლი შეიკრა და გავაგრებულმა თავი გაიქნია.

— სწორეთ მაგისთვის... მღვდლებს სიმართლე არ უყვართ.

— საზოგადოების მიწის გულისთვის, არა?

— იმისთვის!

მამამ თავი ჩაჭკიდა.

— ნათქვამია, — წამოილაზარაკა წენარად: — ნეტარ იყენენ დენილნი სიმართლისთვის. მაგრამ ამავე დროს... უოკელნი... ხელმწიფებსა...

რაღაც მიზეზის გამო დაჩუმდა და ჩაფიქრდა.

მთავარი რაც ძალი და ღონე ჰქონდა გლესს თავს უქნეკდა და ტუის ზირზე უხეენებდა. გლესმა შეამჩნია ეს და ისევ გამხიარულდა. ხელმოკრულ იმასლათა მთავართან: რიკრიგობით ხან ერთმა ასწია თავი შაღლა, ხან მეორემ ტუის ნაპირთან ჩრდილში. მღვდელი კი ამ დროს ზართენს ეუბნებოდა:

— ილოცე ბავშვისთვის, — და თან თვალებში უცქეროდა. — შე კიდევ თქვენთვის ორივესთვის ვილოცავო!

ზართენს თვალი ვერ მიჰქოვრებინა მამოსათვის, უცქეროდა და თან გულში შიში უძლიერდებოდა. უცბად მამას წინ მუხლებზე დაეცა. ხმა კრინტი არ დაუძრავს. მღვდელმა აღესიანათ გადახედა და ბანჯკლიან თავზე ხელი დაადო, თითქოს უნდა, რომ საიდუმლო ცოდვა ახსნას...

...ბოლოს, როცა მთავარმა თავისუფლად ამოიხრია და ხეუსკავებს ჩაუჭადა ისევ და მამამც იმის გვერდით მოიკლათა, უცბად:

— მამა ნიკოლოზო! — დაიფიქრა ტბის იქიდან ვიღამაც.

მღვდელმა ხეებს შორის შავად ურეში გააჩნია, ტბის ნაპირთან კიდევ თავისა მოჯამაგირე დაინახა. შეშინებული წამოვარდა ფეხზე, გადაავიწვია, რომ სინუმი უნდა შეენახა, და დაიფიქრა:

— რა მოხდა?

— ფოფოლიამ მიბრძანა... შემეტუობინებინა... ქაღაქს მივიღივართ!

თვითონ სდღაა?

— აქ, ურემში ზის. ქაღაქს მივიღივართ. ასე მიბრძანა, უთხარი, — არქიელთან-თქო...

მამა ჩავდა. მუხლები ჩაკეცა. გაშტერებული თვალით უცქეროდა ურემს და მოჯამაგირეს, ხმა ვეღარ ამოიღო. მოჯამაგირე ცოტა ხანს კიდევ იღვა და შერე რაკი ზასუხს ვეღარ ეღირსა, ისევ ურემთან დაბრუნდა. შაღე ურემი ხეებს მოეფარა. მამა გაშრა, თვეზაობა გადავიწვია, ნეუსკავი ნაპირზე დარჩა. მთავარმა სახე მოიღუშა და მღვდელს დიდი თანაგრძობით გადახედა. მამამ უაზროთ გადაავლო თვალი მთავარსა, ტბასა, ტუესს, ცას...

— მამა მთავარო... მამა მთავარო! — წამოილაზარაკა სვედიანად და განწირულებით და ატირდა.

ირ. სონღულაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. ვაზაშვილი.

✠ მრველდღიური საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი ✠

==== „ი მ ე რ ე თ ი“ ====

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის. გაზეთის ფასი: ერთი წლით—7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით—80 კ. ცალკე ნომერი ერთი შაური.

■ ადრესი: Кутаись, редакция газ. „Имерети“. ■

ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო, სათეატრო და

საზოგადოებრივი შინაარსის სურათებიანი ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ-კორესპოდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარ-გარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი, და მხატვარ-ხელოვანნი. ჟურნალის ფასი: წლიურად 5 მ. (ამ წლის დამლევამდე—4 მ.) ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი ორი შაური. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამატ. საზოგ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაბ-ნის“ სტამბაში).

1894 წლიდან

1914 წლამდის

ს ა უ კ ე თ ე ს ო ღ ვ ი ნ ო დ ი თ ვ ლ ე ბ ა ღ ვ ი ნ ო

==== საზოგადოება „კ ა ხ ე თ ი“-სა ====

ტელეფონი:
№ 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63
და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სხ.